

# პრესსამსახურის საქმიანობა

თორნიკე გურული (M.A.)




# პრესამსახურისა და პრესის საერთო მიზნები



- პრესა და პრესამსახურები ემსახურებიან ხალხს, რომელთაგანაც ისინი იღებენ დაფინანსებას
- ორივე ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე




# როგორი უნდა იყოს პრესსამსახური



- პრესსამსახური აწოდებს მოსახლეობას ინფორმაციას, თუ რა გავლენას ახდენს მთავრობის პროგრამები და მისი პოლიტიკა მათ ცხოვრებაზე
- პრესსამსახური აწოდებს მოსახლეობას ინფორმაციას მთავრობის საზრუნავისა და გეგმების შესახებ




# პრესცენტრის ორმაგი ფუნქციები (1)



- მედიასთან ურთიერთობისას დაიცვან მთავრობის პოზიცია
- აუხსნან მედიას მთავრობის საქმიანობის დადებითი მხარეები
- შეასწორონ მცდარი ინფორმაცია
- არსებული ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაცია




# მედიის ორმაგი ფუნქცია (2)



- პრესის ადვოკატობა სახელმწიფო სტრუქტურებში
- ჟურნალისტების სურვილის დაკმაყოფილება
- ორი ბატონის სამსახური - პრესმდივნის საქმიანობა



# პრესმდივნის საქმიანობა არაა



- ინფორმაციის არ გაცემა (დაბლოკვა)
- ტელეფონის გამორთვა, რათა თავი დააღწიოს ჟურნალისტების შეკითხვებს
- მხოლოდ პრესრელიზების გავრცელება
- მხოლოდ პროდიუსერების ტელეფონების ცოდნა და მათთან კარგი ურთიერთობა




# გასათვალისწინებელია



- პრესმდივანი ვერ შექმნის პატიოსანი თანამდებობის პირის იმიჯს, თუ ეს პიროვნება არაა პატიოსანი
- ვერ აჩვენებს იმას, რომ თითქოს მთავრობა ზრუნავს მოქალაქეებზე, თუ ის ამას არ აკეთებს
- ვერ აჩვენებს, რომ მოსახლეობის პრობლემები გვარდება, თუ ისინი მართლა არ გვარდება
- ვერ აიძულებს პრესას დაწეროს ისეთი რამ, რაც არ არსებობს
- პრესამსახური ვერ წარმოაჩენს თანამდებობის პირის მიზნებს, თუ მათ არა აქვთ მიზნები



# ჟურნალისტები & პრესმდივნები



- პრესმდივნის მოვალეობაა ჰქონდეს ნეიტრალური დამოკიდებულება ყველა ჟურნალისტის მიმართ
- პრესა და ხელისუფლება დემოკრატიაში ვერ იქნება პარტნიორი. ისინი ბუნებრივად დაპირისპირებული მხარეები არიან
- მათ სხვადასხვა ფუნქცია აქვთ
- თითოეულმა მათგანმა პატივი უნდა სცეს მეორის ფუნქციას
- მთავარია აღიარება, რომ ისინი დაპირისპირებული მხარეები არიან
- კანონი უზენაესია ჟურნალისტებისა და პრესმდივნებისათვის
- პრესა ყოველთვის შეცდომებს ეძებს
- მთავრობა ყოველთვის პოზიტიურს წამოაჩენს
- პრესმდივანს სჭირდება ჟურნალისტი და ჟურნალისტს სჭირდება პრესმდივანი
- პრესმდივნისა და ჟურნალისტის მეგობრობა სამსახურებრივი თვალსაზრისით დემოკრატიას ვნებს



# პრესასთან ურთიერთობა მოვალეობაა




- სახელმწიფო მოხელეს არ აქვს უფლება გადაწყვიტოს, რა უნდა იცოდეს და რა არ უნდა იცოდეს ხალხმა
- სახელმწიფო მოხელემ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ყველა ჟურნალისტს სიმპათიების გაუთვალისწინებლად
- მიუხედავად იმისა, რა აგრესიულიც არ უნდა იყოს ჟურნალისტი, მაინც მნიშვნელოვანია პრესმდივნის თავაზიანობა
- პრესმდივნის მოვალეობაა შეასრულოს ხალხის დაკვეთა - იცოდნენ მათ თავიანთი ცხოვრების შესახებ




# პრესმდივნის საქმიანობა

- 50% ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხი (მათთან ურთიერთობა)
- 25% საოფისე საქმიანობა
- 25% ბეჭდური მასალებისა და ღონისძიებების ორგანიზება



# პრესმდივანი გეგმავს

- რა სიხშირით უნდა მისცეს პრესას მთავრობის პირმა ინტერვიუ
- რა სიხშირით მოეწყოს ღონისძიებები
- ვინ უნდა ისაუბროს სამთავრობო სტრუქტურის სახელით




# რჩევები პრესასთან ურთიერთობისას



- ყოველთვის იყავით ზუსტი
- აღიარეთ, რომ ვერ პასუხობთ დასმულ შეკითხვას, თქვით - რომ ამჟამად მუშაობთ ამ საკითხზე
- ნუ იხმართ ჟარგონს და ნუ ისაუბრებს გაუგებრად
- იყავით გულწრფელები
- აუცილებდა დაუკავშირდით თავაზიანად იმ ჟურნალისტს, რომელმაც არასწორი ინფორმაცია გაავრცელა თქვენს შესახებ
- იმ ჟურნალისტებს დროულად დაურეკეთ, ვისაც დარეკვა შეპირდით.
- ეცადეთ დაეხმაროთ ჟურნალისტებს ინფორმაციის მოძიებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში თავად მოიძიებენ ინფორმაციას, რომელიც მათ სჭირდებათ
- ნურასოდეს დაკარგავთ იუმორის გრძნობას
- იუმორის გარეშე ამ სამუშაოს შესრულება შეუძლებელია





# ნეგატიური ამბის მიწოდებისას




- ნუ მოიტყუებით
- ნუ ეცდებით შეალამაზოთ ნეგატიური ინფორმაცია
- ნუ ეცდებით თავი აარიდოთ ჟურნალისტების სატელეფონო ზარებს
- აღიარეთ, რომ შეიქმნა გარკვეული პრობლემა
- განმარტეთ, როგორ აპირებთ პრობლემის გადაჭრას.



# ძირითადი მიმართულებები



# აშშ-ს თავდაცვის სამინისტრო



- მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილება (ჟურნალისტებთან ურთიერთობა)
- დაგეგმვის განყოფილება (გრძელვადიანი პერსპექტივაზე გამიზნული ურთიერთობის დაგეგმვა)
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება (თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობა საზოგადოებრივ ღონისძიებებში)
- უწყებრივი ინფორმაციის განყოფილება (სამხედრო მოსამსახურეებში ინფორმაციის გავრცელება)

